დამტკიცებულია
სსიპ ქარელის მუნიციპალიტეტის
სოფელ კეხიჯვარის საჯარო
სკოლის
დირექტორის მ/შ
3.08.2023 წლის N2- ბრძანებით

სსიპ ქარელის
მუნიციპალიტეტის სოფელ
კეხიჯვარის საჯარო სკოლის

მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერის წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. სსიპ ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ კეხიჯვარის საჯარო სკოლის (შემდგომი – სკოლა) მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერის წესის (შემდგომში – წესი) მიზანია მოსწავლეთა მხარდაჭერის, ინფორმირებულობის, პოზიტიური სასწავლო გარემოს შექმნის ხელშეწყობა, არსებული სირთულეების, საჭიროებები და ინიციატივების იდენტიფიცირების მიზნით შესაბამის ღონისძიებებისა და აქტივობების განხორციელება.

2. წინამდებარე დებულება ხელს შეუწყობს ყველა ბავშვისთვის ხარისხიანი განათლების და პოზიტიური სასწავლო გარემოს შექმნის შესაძლებლობის გაზრდას.

მუხლი 2. მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერის ჯგუფის ფუნქციები

1. წინამდებარე დებულების მიზნებიდან გამომდინარე დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით იქმნება მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერის ჯგუფი (შემდგომში – ჯგუფი), რომლის შემადგენლობაშიც შედიან კლასების დამრიგებლები.

2. ჯგუფი იქმნება სასწავლო წლის დასაწყისში და მოქმედებს ერთი წლის ვადით;

3. ჯგუფის ძირითადი ფუნქციებია:

3.1. მოსწავლეთა შესაძლებლობების განვითარების ხელშეწყობა;

3.2. მოსწავლეთა განვითარებისათვის ეფექტური პოზიტიური სასწავლო გარემოს შექმნის ხელშეწყობა;

3.3. მოსწავლეთა სირთულეებისა და არსებული პრობლემების იდენტიფიცირება და დახმარების პროცესის ხელშეწყობა;

3.4. მოსწავლეთა ინდივიდუალური შესაძლებლობების გამოვლენა და ხელშეწყობა;

3.5. მოსწავლეებისთვის სასწავლო პროცესთან და სასკოლო აქტივობასთან დაკავშირებით ინფორმაციის დროულად მიწოდება;

3.6. მოსწავლის სასკოლო ცხოვრებაში ჩართულობის ხელშეწყობა;

3.7. მოსწავლეთა ინტერესების დადგენა და ინფორმაციის შეგროვება;

3.8. იდენტიფიცირებული პრობლემისა და საჭიროების სკოლის დირექციისათვის მიწოდება და გადაჭრის გზების შეთავაზება;

3.9. მოსწავლის ინტერესებიდან გამომდინარე მისი მხარდაჭერის მიზნით საჭიროებისამებრ, სხვა სახის ჩართულობა;

4. მოსწავლეთა მხარდაჭერის ჯგუფი საქმიანობას ახორციელებს მოსწავლეთა მშობელათან, სკოლის სტრუქტურულ ერთეულებთან, მათ შორის მოსწავლეტა თვითმმართველობასთან, დირექციასთან და ადმინისტრაციასთან თანამშრომლობით.

5. ჯგუფს ჰყავს თავმჯდომარე და მდივანი, რომელიც განისაძღვრება ჯგუფის შექმნის შესახებ დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით;

6. ჯგუფის შეხვედრები ფორმდება ოქმის სახით, რომელსაც ხელს აწერს თავმჯდომარე და მდივანი;

მუხლი 3. მოსწავლეთა ინიციატივების წარდგენის წესი

1. მოსწავლეებს ინიციატივის დაყენების უფლება აქვთ კლასის დამრიგებელთან, მასწავლებელთან, ჯგუფთან, მოსწავლეთა თვითმმართველობასთნ, სკოლის დირექტორთან ან დირექტორის მოადგილესთან, როგორც ზეპირად ასევე წერილობითი ფორმით;

2. მასწავლებელთან ინიციატივის წარდგენის შემთხვევაში, მასწავლებელი აღნიშნულის შესახებ აცნობებს კლასის დამრიგებელს;

3. კლასის დამრიგებელი უფლებამოსილია მოსწავლის მიერ წარდგენილი ინიციატივები განიხილოს ჯგუფის შეხვედრაზე ან დირექციასთან;
4. მოსწავლეთა თვითმმართველობის წინაშე წარდგენილი ინიციატივები განიხილება თვითმმართველობის წევრების მიერ და ეცნობება სკოლის დირექციას შემდგომი ნაბიჯებისათვის მხარდაჭერის მიზნით;
5. დირექტორთან ან დირექტორის მოადგილესთან წარდგენილი ინიციატივები განიხილება მათ მიერ ან სამუშაო ჯგუფთან ერთად, დირექტორის გადაწყვეტილებით.

მუხლი 4. ჯგუფის შეხვედრები
1. ჯგუფი ატარებს შეხვედრებს, რომელსაც ესწრებიან ჯგუფის წევრები. სკოლასთან და მოსწავლესთან დაკავშირებული ნებისმიერი საკითხი შეიძლება განხილულ იყოს. შეკითხვების დასმა და აზრის გამოთქმა თავისუფალია ყველასათვის. ასევე, განიხილება ჯგუფის მომავალი ღონისძიებები/აქტივობები და დგინდება ღონისძიების ჩატარებისთვის საჭიროებები;
2. ჯგუფის ყველა წევრი წახალისებულია დაესწროს და აქტიურად მიიღოს მონაწილეობა ჯგუფის შეხვედრებში/სხდომებში.

მუხლი 5. მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერის ხელშეწყობა
1. სკოლის დირექცია უზრნველყოფს მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას ფინანსური და ადმინისტრაციული რესურსების და შესაძლებლობების ფარგლებში;
2. მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერის მიზნით დირექცია კომუნიკაციას ამყარებს ჯგუფთან და სკოლის მოსწავლეებთან წერილობით, ინდივიდუალური ან ჯგუფური შეხვედრებით;
3. დაყენებულ ინიციატივას სკოლის დირექცია განიხილავს და მიღებულ გადაწყვეტილებას შეხვედრის ფორმატში აცნობებს ჯგუფის წევრებს.

მუხლი 6. წესის დამტკიცება და ცვლილებების შეტანა
1. წინამდებარე წესს ამტკიცებს სკოლის დირექტორი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ- სამართლებრივი აქტით;
2. წესში ცვლილებების შეტანის ინიცირების უფლება აქვს მოსწავლეთა მხარდაჭერის ჯგუფის წევრებს;
3. წესის გაუქმება შესაძლებელია პირველ პუნქტში მითითებული წესით.